№ 17—1917 | ფასი 15 კ. | წელიწადი მეხუთე გამოცემისა
ქვირა აპრილის 23

დეპუტატი კარლო ჩხეიძე.
მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ საბჭოს თავმჯდომარე ბალტიის ზღვაოსანთ სიტყვა ეუბნება. (ბოჩკაზე დგას)

?!.

1
რად მიკლავ, ძმობილო,
გრძნობას და გულს;
რად მიხშობ, რად ვისპობ
ზნესა და სჯულს?!

2
თუ შენთვის თხოულობ
უფლებას სრულს,
ჩემსას რად უწოდებ
განზრახვას მტრულს?!

3
თუ შენი მონობა
გძულდა და გძულს,
სხვას რაღად იმონებ,—
რად ართმევ სულს?!

4
ნუ მიკლავ, ძმობილო,
სულსა და გულს;
ნუ მასმევ საწამლავს
ჩაფობით სმულს...

მოქალაქენო! მსარი მიეცით ახალ მთავრობას ! ზურგი გაუმაგრეთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ამხანაგებო!

დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!

ერთი მიზანი — მრავალი ხელი

აპრილის 23

საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს ანუ რომელსამე საგანმანათლებლო დაწესებულებას ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისათვის იმდენი არავის გაუკეთებია, რაოდენიც ქართველ თეატრსა და მის ქურუმს.

მიუხედავად ამისა, არც ერთი პარტია, არც ერთი დაწესებულება ისე აბუჩად აღებული არ არის, როგორც ჩვენი სამშობლო სცენა და მისი ქურუმი.

ვინ არ გინდა დაირაზმა, თვის ხელობის შესაბამი კავშირი შეადგინა, რომ საბრძოლველად თვალხილულ და საგრძნობ ძალას წარმოადგენდეს, ქართველი მსახიობი კი დღესაც მოუხარშავ ლობიოსავით დატივტივებს ძაძით მოსილ სამშობლოს ცის ქვეშეთ.

ჩვენი მელპომენე რო მუდამ ეროვნულ-დემოკრატიულ და საკაცობრიო მისწრაფებათა გაღვიებას ემსახურებოდა, ეს ვინ არ იცის.

მაგრამ მის მოღვაწეობას რო მთლიანობა, გარკვეული სახეობა აკლდა, არც ესა საეჭვო.

თვით მსახიობთა შემადგენლობის ზოგიერთი წევრიც ნებსით თუ უნებლიეთ რო მუდამ ღირსეულ დონეზე არ იდგა, სწორედ ვერ აკეთებდა, რაიცა ევალებოდა, რომ იგი ხშირად სხვისი ხელ შემაცქერალი იყო და ბოლოს ისე ჩამოქვეითდა, რომ ცხოვრება სამუდამოდ გაუხდა, არც ესაა დაფარული.

ასეთი მდგომარეობა კი არ შეეფერება იმ მაღალ კურთხეულ წმინდა ხელოვნების ტაძარს როგორიც თეატრია.

ამ საგანზე არა ერთხელ გვისაუბრია ჩვენ; სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზედაც გადასწყდა დაარსებულიყო მსახიობთა პროფესიონალური კავშირი, მაგრამ ეს აზრი დღემდე განუხორციელებელია.

დღეს კი ჩვენის სცენის ზოგიერთ ნაამაგარ მოღვაწეთა თაოსნობით ამ მოკლე ხანში მიწვეულ იქმნება ქართველ მსახიობთა საზოგადო ყრილობა პროფესიონალურ კავშირის შესადგენად. ამ კრებამ უნდა ნათელჰყოსს რავდენად დავაჟკაცებულია ქართველი სცენის ქურუმი და შეუძლიან თუ არა თავის თავის გაძღოლა. ყოველი ქართველი მსახიობი აწ უნდა წარმოსდგეს ნამდვილ მოქალაქე-მოღვაწედ და გაამართლოს ის იმედები, რასაც მათზე დღემდე ამყარებდა ჩვენი სასცენო ხელოვნების მოტრფიალე ანუ დღეის შემდეგ უნდა მოელოდეს მისგან. ქართველ მსახიობთა კავშირმა ერთი მტკიცე მიზანი უნდა დაისახოს — საკუთარ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ხელოვნების უმწიკვლოდ დაცვა-გაფურჩქვნისა და მრავალ ხელთა შეკავშირებით. ჩვენის სამშობლოის ყოველ კუთხეში წმინდა ხელოვნებისა ლამპრის ანთება ხალხის ასამაღლებლად და გასაფაქიზებლად.

იოხებ იმედაშვილი

რვა საათის სამუშაო დღე

რა არის რვა საათის სამუშაო დღე? მუშის პირადი თავისუფლება.

როგორც ყოველგვარ თავისუფლებას, ისე ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა ხალხისათვის.

რვა საათის სამუშაო დღე ეხება მუშის ჯანმრთელობას, შრომის ნაყოფიერებას, განვითარებას, ცხოვრებას და საერთოდ წარმოების გაუმჯობესებას.

ადამიანი არის მანქანა, რომელსაც დაუსვენებლად მუშაობა და შრომა არ შეუძლია. თუ ის მუშაობს იმდენს, რამდენის ატანაც მას არ ძალუძს და ამის გამო მუდამ იქანცება, ჯანმრთელობას ნელანელა ძირი ეთხრება და სიცოცხლე მოაკლდება. დღეს უკვე საკმაო მასალაა იმის დასამტკიცებლად, რომ რაც მეტს მუშაობს მუშა ხალხი, მით უფრო ნაკლებსა ცოცხლობს.

ზედმეტი მუშაობა სხეულს ასუსტებს, აუძლურებს. უძლურ დასუსტებულ მამას კი ხშირათ ებადება სნეული, სუსტი შვილი, რომლის დღეც მეტად მოკლეა.

ამიტომ ზედმეტი შრომა მარტო მშრომელის დღეს კი არ ამოკლებს, ის ასუსტებს მშრომელის შთამომავლობასაც და ამით ხელს უწყობს მუშა ხალხის გადაშენებას.

ყოველი შრომა მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, როდესაც ის არის ხალისიანი. შრომა რომ ხალისიანი იყოს, საჭიროა, რომ ის არა ჰქანცავდეს მშრომელს. მშრომელი რომ არ იქანცებოდეს, საჭიროა, რომ ის მუშაობდეს ზომიერათ. შედარებით ზომიერ სამუშაო დროს შეადგენს რვა საათი.

მუშა არის ადამიანი და მასა აქვს ადამიანის ყველა ნოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებებს დაკმაყოფილება ესაჭიროება,—ამას ითხოვს სულიერი კმაყოფილება, სულიერი სიხალისე. სულიერი კმაყოფილება და სიხალისე კი საჭიროა ადამიანის ბედნიერებისათვის კი არა მარტო, არამედ შრომის ნაყოფიერებისათვისაც.

მუშისათვის საჭიროა გართობა, დროს გატარება, თეატრი.

ყველა ამას უნდა თავისუფალი დრო. თუ მუშის დრო მუშაობაში იხარჯება, მრავალი მოთხოვნილებანი მუშის დაუკმაყოფილებელი რჩება. სულიერი სიმტკიცე და სიხალისე მუშას ელევა და მისი შრომის ნაყოფიერებაც საკმაოთ კლებულობს.

უბედური ადამიანი, რომლისთვისაც შრომა სატანჯველათ გადაქცეულა,—აი რას წარმოადგენს ამგვარ შემთხვევაში მუშა.

მუშა არის წევრი იმ კლასისა, რომელსაც ისტორიამ არგუნა დიდი როლი—ბურჟუაზიულ ურთიერთობაში დემოკრატიული წყობილების მოპოება და შემდეგ სოციალიზმის დამყარება. რაც უნდა შეუგნებელი იყოს მუშა, ის მაინც თავისი მდგომარეობით სოციალისტია და ამიტომ თვალდახუჭულიც ამ მიზნისაკენ მიისწრაფვის; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განვითარებას მუშამ არ უნდა მიაქციოს ყურადღება.

განვითარება მუშისათვის იმდენადვე არის საჭირო, რამდენათაც პური. განვითარებული, შეგნებული მუშა უფრო მტკიცედ აწარმოებს კლასობრივ ბრძოლას, კლასობრივ პოლიტიკას და მისი მოტყუება შეუძლებელია. განვითარებული, შეგნებული მუშა უფრო მტკიცეთ იცავს თავის პოზიციას, რადგანაც მას ნათლად აქვს გათვალისწინებული თვისი ახლობელი და შორეული მიზანი.

თვითგანვითარებისათვის საჭიროა თავისუფალი დრო, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩება მუშას, თუ მან რვა საათზე მეტი არ იმუშავა. ყოველი სხეული ითხოვს დასვენებას მუშაობის შემდეგ და მთელი აგებულება კი ძილს. უამისოთ შეუძლებელია არა თუ ნაყოფიერი მუშაობა, სიცოცხლეც.

როდესაც სამუშაო დრო რვა საათით არის განსაზღვრული, ბაშინ მუშას საკმაო დრო რჩება დასვენებისათვის, თვითგანვითარებისათვის, გართობისათვის და ძილისათვის.

როდესაც სამუშაო დრო დიდია, მაშინ მუშის დამქირავებელი ანუ კაპიტალისტი ნაკლებათა ზრუნავს წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის. ამგვარი გაუმჯობესება ითხოვს საკმაო ხარჯს. თუ მუშა იმდენსა მუშაობს, რომ ტეხნიკის ნაკლს სამუშაო დღის სიგრძე ჰფარავს, კაპიტალისტი ხარჯს ერიდება და ამჯობინებს, მუშა ზედ მეტათ ამუშაოს.

ამგვარი შრომა მართალია მუშას სიცოცხლეს უმოკლებს, მაგრამ ეს კაპიტალისტს არ ადარდებს: ბაზარზე მუშა ბევრია და რაც უნდა მოკლე იყოს მისი სიცოცხლე, მუშა მაინც არ მოაკლდება.

როდესაც წარმოების ტეხნიკა განუვითარებელია, სამუშაო დროს შემოკლება, ხელფასის მომატება, მუშათა დაზღვევა და საერთოდ მუშის მდგომარეობისა და ცხოვრების გაუმჯობესება ძნელი მოსაპოებელი ხდება.

რაკი მუშა მოიპოებს რვა საათის სამუშაო დროს, კაპიტალისტი შიშობს, მოგება არ დამაკლდესო და ამიტომ ის იძულებულია, საწარმოვო ტეხნიკას მიაქციოს მეტი ყურადღება და მისი გაუმჯობესებისათვის იზრუნოს. ყოველივე ეს იწვევს წარმოების ზრდას, წარმოების ზრდა კი ხელს უწყობს მუშა ხალხის ნაყოფიერ ბრძოლას თვისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ჩვეულებრივი დრო რომ იყოს, წარმოების ყველა დარგში შეიძლება დღესვე რვა საათის სამუშაო დროს შემოღება. მაგრამ ომი ითხოვს დიდ, აუტანელ შრომას და ამიტომ წარმოების ყველა იმ დარგებში, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ომთან, რვა საათით განსაზღვრა მუშაობისა, დღეს შეუძლებელია.

რამდენი ყუმბარაა ყოველ დღე ბრძოლის ველზე საჭირო დღეს? რაც მეტი იქნება, მით უკეთესია,—განსაღვრა შეუძლებელია.

ამიტომაც ამ გვარ დარგებში სამუშაო დროს განსაზღვრაც შეუძლებელია.

არა თუ რვა საათი, შეიძლება თექვსმეტი საათის მუშაობაც დასჭირდეს ზოგჯერ მუშას, მაგრამ ასეთია ძალა ომისა, რასაც ომის დაბოლოვებამდე უნდა დავემორჩილოთ.

ყველა დანარჩენ დარგებში რვა საათის სამუშაო დღე დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, რასაკვირველია, ძალმომრეობით კი არა, არამედ შეთანხმებითა და მუშათა დეპუტატების საბჭოს დახმარებით.

მუშები დღესვე უნდა შეკავშირდენ ამ ლოზუნგის გარშემო და არ უცადონ დამფუძნებელ კრებას.

დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ უნდა დაადასტუროს და დააკანონოს მუშების მიერ უკვე მოპოებული გამარჯვება.

ამგვარათ დღესვე რვა საათის სამუშაო დღე წარმოების ყველა დარგში, სადაც კი ბრძოლის ველისათვის არა მზადდებარა.

ჩემი სამშობლო

1

საქართველოა ჩემი სამშობლო
და ჩემი რწმენის წმინდა ტაძარი,
სად იშვა შოთა სულ სხივოსანი,
სად დაიბადა დიდი თამარი...

2

საქართველოა დიდი მშობელი,
რომელმაც მზარდა და გამაჩინა,
იქ ალაზანმა ამოხმიანმა
მე მიგალობა ტკბილი ნანინა...

3

იქ მე სიცოცხლის შევსვი ნექტარი,
იქ მე ოცნების შევისხი ფრთები;
მისთვის ვსულდგმულობ და თუ მოვკვდები
იმის კალთაზე დავიმარხები.

კ. ძიძაძე.

ᲨᲘᲜ

მოთხრობა.

წყნარი და შემხუთავი მაისის ღამე ჩამოწვა დედა-მიწაზე. მდინარიდან გრილმა ნიავმა დაჰბერა. ბაღში ლამაზი ხმით უსტვენდა ბულბული, რომლის მომჯადოვებელი ხმა ძალა-უნებლიეთ იპყრობდა ყურთა-სმენას. ბნელ, უმთვარო ცაზე, აქა იქ, შორს აციანთდა რამოდენიმე ვარსკვლავი.

პატარა სოფელი, რომელიც გორაკზე იყო გაშლილი, მიყუჩდა, დაიძინა. შრომაში გატარებულმა დღემ დაჰქანცა გლეხობა და ჯან-საღ, მაგარ ძილს მისცემოდნენ ისინი. მხოლოდ აქა იქ ფანჯრებში მოსჩანდა სინათლე, რომელიც შორს გზაზე ჰფანტავდა თავის შუქებს. მყუდროება სუფევდა მთელ სოფელში. მოდარაჯე ძაღლების ყეფაც კი არ არღვევდა ამ მყუდროებას.

ფერდობზე, პატარა მდინარესთან, გზის

პირას, ბებერი ხის ძირში იდგა ერთი ძველი ქოხი, ნახევრად დაქანებული, რომელშიაც ცხოვრობდა ღარიბი დედა-კაცი ხუთის წვრილ-შვილით. ომის დაწყებისთანავე მან გაისტუმრა თავის ქმარი ომში და მას შემდეგ ნინას თვალზე ცრემლები არ შეშრობია; სასოწარკვეთილებამ, მუდამ შიშმა და გაჭირვებამ უდროოთ დააბერა ახალ-გაზრდა ჯან-ღონით სავსე, მომუშავე და ხნიარული ქალი. ერთი წლის შემდეგ ის სრულიად გამოიცვალა: გახდა, დაიჩაგრა და ხმა-ამოუღებლად იტანდა ტანჯვას და მწუხარებას. ბრწყინვალე იმედი, რომ ქმარი ოდესმე დაბრუნდებოდა, მათი მდგომარეობა ისევ გამოკეთდებოდა და ისევ ძველებურად, კარგათ იცხოვრებდნენ, არასოდეს არ უმაგრებდა გაციებულს და დახშულს გულს საბრალო ნინოს. ოჯახში მას მომხმარე არავინა ჰყვანდა, უფროსი ვაჟი მხოლოდ ცხრა წლისა იყო. სულ უმცროსი კი აკვანში იწვა და დიდი ხანია სიკვდილს ებრძოდა, რაღაც გამოურკვეველ სნეულებით.

ნინოს ოჯახის სიმდიდრე არასოდეს არ უნახავს, მაგრამ ცხოვრობდა, როგორც იტყვიან, უნაკლულოთ. შვილები მუდამ მაძღრები და თბილად ჩაცმულები ჰყვანდა, თითონაც უქმ დღეებზე მოხდენილად და თავ-მომწონეთ გამოდიოდა, არა ნაკლებ თავის მეზობელ ქალებზე. მაგრამ ქმრის წასვლის შემდეგ, უბედურება ერთი მეორეზე დაატყდა თავს დაობლებულ ოჯახს: ცხენი წაართვეს, ძროხა მოუკვდა, ხბო დაეკარგა, წიწილები ყველა თხუნელამ შეუჭამა. შემომტანი ოჯახში არავინა ჰყავდა და ზარალი მძიმე ტვირთად აწვებოდა საბრალო ქალს. სიღარიბე ნახევრად ჩამონგრეულ ქოხის ყოველი ჭურტუმალიდან მოსჩანდა და მომავალში სიმშილის შიში თავზარსა სცემდა მას. ბავშვები უკანასკნელ ლუკმას სჭამდნენ და თან სტიროდნენ, რომ ისინი ნახევრად მშივრები არიან.

მძიმე და აუტანელი დრო იყო საბრალო ნინოსათვის ეს დრო. პატარა, აკვანში მწოლიარე, დღითი-დღე სანთელივით დნებოდა დედის თვალ-წინ. სრულიად დამჭკნარი და გაყვითლებული, ის ძლივს-ღა იღებდა ხმას, ჭუჭყიან ძონძებში გახვეული. ნინო მას აღარ არწევდა, ნანას აღარ უმღერიდა, მთელი საათობით დაშტერებოდა აკვანს და ცხარე ცრემლებს აყრიდა გულზე საბრალო ბალღს. ღრმა მწუხარებით, თვალებ მოუშორებლად დაშტერებოდა ის მომაკვდავ შვილს და უძლური იყო შეემსუბუქებინა რაიმე მისი უმანკო ტანჯვა.

იმ ღამეს ნინო არ დაწოლილა და სინათლეც არ ჩუქვრია. ჰირქუში, ბნელი ღამე მისჩერებოდა მას ფანჯრიდან. შემზარავი სიჩუმე იყო გარეთ. ქოხშიაც აგეთივე სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ხან და ხან თაგვი გაიჩაჩუნებდა სადმე კუთხეში და რომელიმე ბავშვის წამოტირილი თუ არღვევდა ამ სამარისებურ სიმშვიდეს. ნინომ ტირილს თავი ანება. რაღაცნაირმა გულ გრილობამ მოიცა იმის არსება. ის იჯდა სრულიად მოშვებული და გაშტერებით მისჩერებოდა ფანჯარაში ღამის სიბნელეს. დაფანტული აზრები ერთი მეორეს სცვლიდნენ სისწრაფით და მისცურავდენ სადღაც შორს: „—რა ვქნა? აი, მე აქ ვზივარ ეხლა... როგორ უნდა ვიყო?.. დავიხოცებით... ყველანი დავიხოცებით... საზრდო აღარა გვაქვს... ისიც არსადა სჩანს... ჰგავს მოკლულია... ეჰ—რა ვქნა... დეე... სულ ერთია... ჩემთვის სულ ერთია... დეე!..

ამ დროს ფანჯრის ძველ ჩარჩოზე მოისმა ბრთხილი და ხან-გრძლივი კაკუნი.

ნინო შეკრთა, წამოიწია და გაიხედა ფანჯარაში. იქ მოსჩანდა ვიღაც მაღალი კაცის აჩრდილი.

— ვინა ხარ? შემოდი, კარები დაკეტილი არ არის — უთხრა მან გულგრილად და ისევ ჩაეკეცა თავის ადგილზე.

ჭის-კარი გაიღო და წაღების ბრახუნი მოისმა დერეფანში. ქოხის კარები აჭრიალდა. და შიგ გამოჩნდა გამხდარი, მაღალი ტანის ჯარის კაცი.

რაღაც ძალამ და ტკივილმა აატოკა ნინოს გული. ის მიეყუდა კედელს და გაქვავებული, გაფითრებული მიშტერებოდა ახლად შემოსულს: ჯარის კაციც ერთხან გაშტერებული უყურებდა ნინოს მწარე, საცოდავი ღიმილით.

— ვინ არის ეს? ღმერთო! ვინა ხარ?— კვნესით წამოიძახა ბოლოს ნინომ.

კაცი საჩქაროთ მიიჯრა მასთან და მოწყვეტილი ჩაესვენა ქალის გვერდით ტახტზე. მან მოუჭირა თავის ათრთოლებული და ცივი ხელი ნინოს გაციებულ ხელებს და კანკალით წარმოსთქვა:

— ეს მე ვარ, ნინო! ველარ მიცანი, ჩემო სიცოცხლევ?

— ვასილი, ღმერთო! როგორ? ეს შენა ხარ?—შესძახა ქალმა და ტირილით ჩაეკვრა მას გულში.

ხმაურობაზე შეშინებულ ბავშვებს გამოეღვიძათ, აკვანში საცოდავათ დაიკნავლა მომაკვდავმა ბალღმა,

— თედული!—დაიძახა ვასილმა და მიირბინა აკვანთან.

— მიკვდება ჩემი თედული! აი, აქ ვიჯექი და ვდარაჯობდი ამის სიკვდილს!

ცრემლებით ეუბნებოდა ნინო და ბარბაცით, თითქოს მთვრალი, მიუახლოვდა აკვანს. მუნჯის, უზომო მწუხარებით აღსავსენი ორივე ცოლ-ქმარი დაეყუდნენ აკვანს და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდნენ მომაკვდავ შვილს გულზე. ლოგინიდან ჩამოვიდნენ ბავშვები და ტირილით შემოეხვივნენ მამას, თითქოს მისგან მოითხოვდნენ მოფერებას და დახმარებას. მწარეთ აუტოკდა ნატკენი გული საბრალო მხედარს, როდესაც დაინახა ძონძებში გახვეული, გამხდარი და გაფითრებული შვილები, მოქანცული და ჯავრისაგან მიმქრალი ცოლი და მთელი სიღატაკე ნახევრად დანგრეულ ქოხისა.

— მოითმინეთ, ჩემო შვილებო, ნუ სტირით.. ყველაფერი გამოკეთდება... ისევ კარგათ ვიცხოვრებთ.—ისე, როგორც წინათ... მე ვიმუშავებ... ვიშრომებ.. ნუ სტირით,...— ანუგეშებდა სახლობას ვასილი და სცდილობდა შეეკავებინა ყელში მობჯენილი ბოლნა და ცრემლები.

ბავშვები მიყუჩდნენ და მიშტერებოდნენ მამას, რომელიც თითქმის ვერც კი იცნეს. ნინოს უნდოდა რაღაცა ეთქვა ქმრისათვის, მაგრამ უეცრად გაშტერდა და უძრავად, გამოუთქმელის შიშით მიაცქერდა მას. მან მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ მარცხენა ხელის სახელო ცარიელი, თავისუფლად ქანაობდა.

— არაფერია, ნინო! ნუ გეშინია, ჩემო კარგო... მაგივრად მარჯვენა ხელი ხომ შემრჩა.. და ეს ხომ უმთავრესია... სახლში მე ყველაფერს გავაკეთებ.-ომში ეხლა აღარ წამიყვანენ არასოდეს. მე შეიმძლია მუშაობა.. 'შენ ნუ გეშინიან..,

ცდილობდა ენუგეშებინა ცოლი ვასილს, რომელიც უნუგეშოდ აფრქვევდა ცრემლებს. ის დიდ ხანს სტიროდა, სტიროდ, მთელი ღამე გათენებამდის და ამ ცრემლებში დაიდნო, დაილია მწარე უღელი ნინოს სულისა. შესამჩნევად გაეკურნა აუტანელი, დიდი ხნის ტკივილი. მიყუჩდა, შეურიგდა, მოისვენა სნეულმა სულმა.

ეფ. მესხი

ძველი რვეულიდან

ნეტავი შენ ბაწაწინავ
ველის ბიჭო წვივ-შიშველო,
ქესკინია მეჭაკუნავ,
შენ უმანკო, უზრუნველო.
მოედები ტყე-გორებსა,
დაკვინტრიშებ ვითა შველი;
მზის სხივისგან გარუჯულო
შენ გეკუთვნის მთა და ველი.
შენ ერთ წამსაც არ დაცხრები,
გზრდის სიცელქე დაუწყნარი,
ცისკრის უმალ შენ ასდგები,
ისმის შენი სოლინარი.

—

უცხო ჰანგზე კრიმანჭულობ,
სხვას არ ნაღვლობ რაა ვალი,
აწმყოს შეტრფი აღტაცებით,
გიხარია მომავალი.
შენ არა გრძნობ მამის უღელს,
ერის დამცემ დამჩაგვრელსა;
ნატრობ ზღაპრულ სიყარიბეს,
შენ აღამებ მინდვრად დღესა.
ნეტავი შენ, მთების ბიჭო,
წინწინ გატკბობს ცისკრის ზარი;
ნეტავი შენ, რომ არ გესმის
რას კვნესს შენი სოლინარი!..

კ. ე—ვი

საუბარი მეგობართან

(პეტროგრადიდან.)

ომის დმერთმა არც მე გამომტოვა და უდრეკად მომაშორა ჩემი ძვირფასი ქმიკო და ამაგე დრო-ამსანაგიც. იგი მოგვკლეს გასულ წელს მაისში ავსტრიის ფრონტზე. უკანასკნელად ჩემი ძმა მწერდა: „აქედან ჩემი დაბრუნება მხოლოდ სასწაულს შეუძლიან და სასწაული კი, მე არ მრწამსო. სიკვდილს სრულებით არ ვნანობ, აქ მას-შეგეჩვიე უკვე, მხოლოდ სამწუხაროდ ის მრჩება, ჩემს საყვარელ სამშობლოში ჩემს ძვირფას-დედიკოსთან ახლოს არ ვკვდებიო“.

სოციალისტობა და სოციალიზმი, რომელიც მე და შენ დადიქის ქარხანაში შევითვისეთ, სამკალითო და დამაზი რამ არის, და კიეი იქნება, რომ იდეიურად ვიმნმემ უარეს ეს კეთილშობილური მოძღვრება, მაგრამ სამწუხაროდ ამ მოძღვრების განხორციელება ჯერ შორსაა.

შენი ამბავი, რომ ვიცი კაკვირვებს ჩემი ასეთი შეხედულება სოციალიზმზე და შეიფლება ამით ჩემი მეგობრობაც უარეო, მაგრამ რა გაეწყობა, თუ ჩემმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ ცხოვრებაში ასეთ შეხედულებას დაამაახლოვა.

პირველად სოციალისტებზე ისეთი შეხედულობის ვიყავი, რომ არ მეგონა, თუ ერთი მათგანიც ომის მომხრე და გამამართლებელი იქნებოდა, მაგრამ დღეს, როგორც ვხედავთ, ყველანი ეოველგან მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი კაიძახიან: „ომი ბოლომდისო“.

წინეთ თუ ყველა ქვეყნის პროლეტარებს მოუწოდებდენ შესაერთებლად-ძმობა-ერთობის დასამყარებლად, დღეს ერთი მეორის გასაყლეტად და გასანადგურებლად მოუწოდებენ. წინად თუ კაიძახოდნენ პროლეტარს სამშობლო არა აქვსო, დღეს ამავე სამშობლოთვის ათასობით და ათი ათასობით იგივე პროლეტარები სიცოცხლეს სწირავენ.

რისთვის, რატომ?! დიახ, ასეთი კითხვები მუდამ თავს დამტრიალებენ.

რუსეთში ამ ჟამად დეპ. ჩხენკელზე და ჩხეიძეზე უფრო ბევრს დაპარაკობენ ვინემ თავიანთ რუს დეპუტატებზე, თუ არ მივიდებთ მხედველობაში დეპ. კერენსკის.

ქართველი დეპუტატები უფრო გაბედულად და სისწორით დაპარაკობენ რუსეთის შინაურ ცხოვრების მოუწესრიგებლობაზე, ვინემ თვით რუსი დეპუტატები.

ამას წინად ერთმა სტამბის რუსმა მუშამ მითხრა: თქვენი დეპუტატები რუსეთზე ჩვენს ხალხზე და ქვეყანაზე უფრო ბევრს დაპარაკობენ, ვინემ საქართველოზე და ქართველებზეო“...

სამშობლო რომ შორიდან უფრო საყვარელი ძვირფასი ეოფილა, ამაში დარწმუნებული იყავი.

ქართული წერა-ლოცვა, ქართული სალამო აქ ახლა ხშირია, მხოლოდ უდრეობის გამო ეოველთვის ვერ ვესწრები ხოლმე. წარმოიდგინე ჩვენში ეკლესიაში წერის მოსასმენად ქუდი რომ ვინმე შეეგლო, გამოსატანად არ შეეიდოდი და აქ დიდი სიხარულით დავესწრები ხოლმე, რაცა დორ შემიწეობს ხელს.

სამშობლო საქართველოს გარედ ქართული გალობის მოსმენა სასიამოვნოა.

პეტროგრადი ჩინებული და დამაზი ქალაქია ეოველივ მხრით, მაგრამ მე მაინც ჩემი ქუთაისი და ოზურგეთი მირჩევნია. „არ გავცვლიდი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედაა“.

დიდხანს არ მსურს რუსეთში დარჩენა. ომის გათავებას თუ ვეღირსეთ, მალე ვნახავთ. სალამი საყვარელ სამშობლოს.

შენი პრ. ასკანელი

სომხური ჰანგები

უძველესი ჩვენი მეზობლები და ისტორიის თანამზიარნი სომხები არიან. ჩვენ კი დღეს დღეობით, ეველაზე ნაკლებ მათ ვიცნობთ, თუმცა ჩვენი მრავალგვარი ინტერესები მოითხოვს, რომ მათ ისე ვიცნობდეთ, როგორც ჩვენს თავს.

საჭიროა ჩვენთვის შეგისწავლოთ მათი არა მარტო სოციალური და ეკონომიური ცხოვრება და ისტორია, არამედ მწერლობა და პოეზიაც.

ჩვენში გავრცელებული აზრი, ვითომც სომხები, რაგორც სალხი, მხოლოთ ვაჭარია, ეალბი ადალი და ეანთრით შეიარაღებული, დიდათ შემცდარი აზრია.

ამის დამწერს ათი სრული წელიწადი მიცხოვრია სომხეთში ბინადარ სომხებში, ამ დროის განმავ-

ლობაში საქმის გამო ფეხით მომიგდია მანძილი დიდ და პატარა არარატებიდან ადაგეზამდი, ქოშიდან კულბამდი და მელიქკედიდან დარაკემდე, მიწარმოებია ხალხის სტატისტიკური და ეკონომიური აღწერა, შემისწავლია მათი აწმყო ცხოვრება სოფლათ, მიგროვებია ზეპირ თქმულებანი, ანდაზები, სახალხო ლექსები, გავცნობივარ სომხის ინტელიგენციის დახმარებით მათ ახალ მწერლობას, და დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა, რომ სომხეთში სომხები ისეთივე მშრომელი ხალხია, არა აგრესიული და არა შოვინისტი, თავის მიწა-წყლისა და ეროვნების მოყვარული, როგორც ყველა სხვა ცოცხალი ერი ქვეყნიერებაზე.

ეროვნული თავისუფლება, თავისუფალი სომხეთის აღდგენა მთავარი ჭანგია მათის მწერლობისა.

თავდაპირველად ქართველობას გავაცნობ მათი პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანს ალექსანდრე არარატიანცის, გაბარ ქათიბასი, რაფისა და სხვათა ნაწარმოებთაგან.

ილია ჭყონია.

ანის ქალაქი

სომეხთ კათოლიკეთა არხიმანდრიტის ალექსანდრე არარატიანცისა.

ანის ქალაქის ნანგრევი ტირის*)
ადარავინ ჭვავს ნუგეშის მოქმელი...
ბევრს ისიც უნდა დიდ ხანს იტირონ,
არავინ მისცეს რჩევა გულწრფელი.

ანისი ამბობს: „მრავალ დარდისგან
ვიწვი, ვიდაგვი, არვინ მეავს სანდო,
მომიახლოვდეს, მითხრას: „ნუ სტირი!“
მენდოს და მცა გული მივანდო.

ახ, შემიბრალე სომხის ჭაბუკო
რა დღეში მხედავ არ გებრალები?
მეუო ამდენი ტირილი, მარა
შენ, ამ დღეში მოოფს არ მეკარები...

განვდო ჩემმა დრომ, ვაით, გოდებით,
ტრემლებმა თავალი სულ მთლად დამიფესეს,
ობლათ ვარ დღეს მე ჩემი წერისგან,
ბედმა და ეტლმა სულ დამიფიწეს!

დავკარგე ჩემი სამეფო ტახტი,
კარს მახვევენ ბუ და ჭოტები,
სულ დამძახიან: წახდი ანისო,
და უპატრონო სულ მთლად გაქრები!

სომხის ჭაბუკო, ნახვისა უმალ
მიდიხარ, მხოლოდ ამბობ ნახვამდი!
თუ დმერთი ჭკვამდეს არ დამიფიწო,
სანამ მიხვიდე არარატამდი!

უთხარი იმ ჩემს მამაცს არარატს:
ანის ქალაქი სულ ტირის, მარა
მოელის იმ დღეს, როს შენგან ესმას:
„ჩემო ანისო, ნუ ტირი: კმარა!“

ილია ჭყონია.



სომეხთა მგოსანი
ალექსანდრე წატურიანი
(გარდაიც. მარტის 31, დაიკრძალა აპრილის 9)

*) ლედანში; ანის ქალაქი დამწყდარა ტირის

გუშინდელნი

კომედია 3 მოქმედებათ შალვა ადამიანისა
(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 16)

3

კარლო ყაყუტაძე (შეუმჩნევლად შემოდის. გამსმარი სხალგზდაა. ხალათი აცვია, თმამოშვებული აქვს და „ოკეი“-ს ქუდი ხურავს. შეჩერდება ციგნის ხარიხასთან).

კეკელა. (დაინახავს, შეკრთება) ოჰ, თქვენ ბრძანდებით?

კარლო. უკაცრავათ, ბატონო, მე თქვენი ვაჟის სანახავათ გიახელით.

კეკ. ადიკო არ გახლავთ შინ... მოიცადეთ, ბატონო.

კარ. არა, უკაცრავათ, მეჩქარება...

კოწია. ბიჭო ეს ჩვენი ცოციალისტი არაა, კარლო ყაყუტაძე?

პაპ. კი, ბატონო, კარლოა ..

კეკ. (კარდოს) მაინც რა გნებავდათ?

კარ. ბევრი არაფერი. ეს ორი წელიწადია, რაც ჩემი წიგნები ადიკოს აქვს და... ძალიან მჭირდება. განსაკუთრებით მარქსის „კაპიტალი“. შეირჩინა, შეირჩინა.

კოწ. ბიჭო, კიდე არ მეიშალე, ი მარქსია თუ რაღაცა, იმის ამბავი?..

კარ. (არ უპასუხებს).

კეკ. დაიცადეთ, ბატონო. საცაა ადიკოც მოვა და ყველაფერს ის მოგახსენებს. არც აგრაფენაა ახლა სახლში, თვარა ის მოძებნიდა. მე ხომ იცით რუსულს წიგნებს ვერ გავარჩევ. რომ ჩამევიდა, ადიკომ კი მითხრა —კარლოსთვის წიგნები არ გადაგიციათო, მაგრამ აბა საიდან... მე არც ვიცოდი რაც წიგნები იყო და მერე კიდევ, თქვენც იმ ხანებში დაგიჭირეს... მეც მეშინოდა... სადღაც მივმალეთ... თუ გნებავთ, გიჩვენებთ და თვითონ თქვენ გამოსძებნეთ.

კარ. არა, ბატონო... სად იქნება თვითონ ადიკო?

კეკ. რა მოგახსენო? ეკლესიისაკენ თუ გაისეირნა... მოუცადეთ.

კარ. არა, თუ შევხვდი ის იქმნება... თუ არა და ნახევარი საათის შემდეგ კიდევ შემოვივლი...

კეკ. ძალიან კარგი, რავარც გნებავთ.

კარ. (ეველას თავს დაუკრავს და გადის).

კოწ. ძალიან არ შეფერხილა ეს ჩვენი ცოციალისტი?

პაპ. მისი ბრალია. რაც მაგას ციხის კედლები ალესინეს...

კოწ. აი დასწყევლოს მაგათი თავი!.. მე ხომ არაფერში არ გავრეულვარ მოძრაობის დროს... მაგრამ მაშინ არ იყო, სამაგალითო მადნის საქმე მქონდა მიხრანიანცთან გათავებული, მაგათ რომ დაიწყეს!.. რას ლაპარაკობ? აღარც მუშა, აღარც კაცი... ფოდრაჩიკიც გამექცა, არც ფული და არც ბისტი...

პაპ. ეეჰ, კარგია შენი ჭირიმე...

კოწ. ახლა რა მინდაო, ნეტაი?.. რას აპირებს?.. (მოისმის **ფაციას** ხმა შინა ოთახიდან: „რა სულელი ხართ ღმერთო ჩემო!“ უპასუხებს **ადიკოს** ხმა: „სისულელეა, როდესაც საგანს პირდაპირ თავის სახელს უწოდებ?)

პაპ. ეჰეე, ადიკო და კნიაჟნა ფაცია მოსულა...

დ

ფაცია (შემორბის).

ადიკო (ნელა მოჭყვეტა. ისევ მორთული, როგორც კეკელამ აღწერა).

ფაცია ოო, მამაც მობრძანებულა?.. რა ამბავი, ისევე შენი მადნები გაგიშლია?.. გამარჯვება, შენი ჭირიმე კეკელა (კოტნის) პაპუნას ვახლავართ.

ადიკო. (კოწიას ხელს ჩამოართმევს. პაპუნასთან მიდის)

პაპ. ბიჭო, რა დავაკაცებულხარ... რამდენი ხანია არ მინახავხარ. (ეხვევა)...

ფაცია. არა, კეკელა, შენი ჭირიმე, უკაცრავად ვარ და ძალიან კი გატუტუცებულა თქვენი ადიკო.

კოწია. (ადიკოს) შენ ეი ჩემო ბიძია ფრთხილად იყაი ჩემს ფაციასთან .. მთელი სოფელი ახტაჯანას ტყუილა კი არ უძახის... მოგკლავს, შე უბედურო, დაგცხებს თავში კეტს და. .

ფაცია. ოჰ, რას ამბობ, მამა?

ადიკო. ქართველმა ქალებმა აბა სხვა რა იციან... კეტი, „შამფური და რკინა“, ერთი ახალი ლექსის არ იყოს... მერე? ეს შიშისაგან მოსდით, შიშისაგან. გაუბედავები არიან, ლაჩრები. თქვენ გგონიათ ეს მიუკარებლობა

გამბედაობით მოსდით? ეშინიათ უბედურებს... ეშინიათ, რომ დასტკბენ ამ ცხოვრებით. გულში სხვა აქვთ და საქციელით კი ვერ ამხელენ. აი, ვაჟკაცია ვინმე, მოსწონს ქალს, უნდა მასთან შეერთება, მაგრამ...

კეკ. აა, დეიწყო, დეიწყო..

ადიკო. რა დავიწყე?.. აი, კნიაჟნა ფაციას ფიცი მოვწონვარ, უნდა ჩემი მოხვევნა.

ფაცია. იმდენი თავში კოპი შენ... (სიცილი)

კეკ. ჩუმად, ბიჭო, ჩუმად, რას ჩურჩულობ? არ გრცხვენია?

კოწ. არა, ბატონო, ახლა სულ სხვა ახალგაზდობაა... მაგრამ მაგას (ფაციაზე) ფურთხილდი კი.

კეკელა. ის სჯობია... წედან აქ კარლო ყაყუტაძე იყო... წიგნებს გთხოვს.· ის მოუძებნე...

ადიკო. ოო, ჩვენო კარლო? (თითქო თავისთვის) აი კაცი, რომელიც ერთ წერტილზე გაიყინა.

ფაცია. ჰა, ჰა თქვენ კი, თქვენ არ იყინებით ერთ წერტილზე? სდუღთ და თუხთუხებთ, არა?

ადიკო. ვინც ცხოვრებას ფხიზლად უყურებს, მისი შეხედულებაც იცვლება მიმდინარე ცხოვრების მიხედვით· განათლებულმა ქვეყანამ უკვე ყურადღება მიაქცია, რომ დაავადმყოფდა სულიერ სიმშვენიერის ძებნაში.·. სხეულის სილამაზე სულ დაავიწყდა და დაგლახაკდა, მოჩიავდა. აი, ეხლა უკვე იწყება განახლების ხანა, ძველო ელინების სხეულით გატაცება კულავ გვიბრუნდება. სხეული უნდა განთავისუფლდეს ამ მჩვრებისაგან და მზის ცხოველ სხივებზე აელვარდეს მისი მშვენება...

კეკ იმიტომაც გაშიშვლდი, შე საძაგელო?

ადიკო. აბა რასა გავს?.. აი, კნიაჟნა ფაცია... ტანზე კორსეტი შემოუჭირებია. ლაღი და ახალგაზდა სხეული სულ დაუფარავს...

კოწ. არა, ბიძია, პირი არ დაგწვას... ძალიან გინდა გააშიშვლო, მაგრამ...

კეკ. უი, უი, რას ამბობთ, გენაცვალე... **არა, მე გაგეცლებით,** ისევ სამზარეულოს მივხედავ, თვარა თქვენი ლაყბობის ყურის გდება არ გამომადგება. (მიდის, ადიკოს ჩაუარს) რა თქვა, შვილო, მაგისთანა უხიაგი... რავა გეკადრება!.. ქალიშვილი ქალია, შერცხვება... (გადის)

ფაცია. ძალიან უნდა ჩემი გაწითლება, მაგრამ უზრდელი სიტყვა-პასუხი უზრდელათ დარჩება და მეტი არაფერი...

ადიკო. ეს უზრდელობა კი არა, ნამდვილი გულის თქმაა, რომელსაც თქვენ მალავთ და მე კი გარეთ გამომაქვს...

პაპ. ამისთანების არაფერი გამეგება, მაგრამ რა დაგმართნია, ბიჭო!.. რაღაც უწმაწურათ კი ლაპარაკობ.

ადიკო. ეეჰ, ბიძია... ამას ვერ მიხვდები... და აქ ვერც ვერავინ გამიგებს... აი კნიაჟნას კი ესმის ჩემი ინსტიქტიურათ, მაგრამ განგებ თავს იყრუებს...

ფაცია. მე გავიბუტე... რაც გინდათ თქვით... უზრდელობაზე აღარაფერს გიპასუხებთ. (მიდის და აივნის ხარიხს გადაეურდნობა)

კოწია. არა, მართლა გამეიცვალა ქვეყანა... (ადიკოს) ჩემო შვილო, აი დედა შენს რომ ვეარშიყებოდი. კი არ გეხუმრები, სიზმრათ მყავდა გადაქცეული, მაგრამ ცხადში კი ერთ ვერსზე ვერ გევეკარებოდი... საცა გაჩთებოდა, მეც იქ ვიყავი, მაგრამ უბრალო ხუმრობასაც ვერ ვბედავდი...

ადიკო. ეეჰ, თქვენ რომანტიკოსები იყავით... (ზურგს შეაქცევს და მიდის ფაციასაკენ)

კოწია. რაო?

ადიკო. ვითომ მაგ გაბუტვით რა გინდათ დამიმტკიცოთ?

ფაცია. მე არაფერს არ გიმტკიცებთ... სჯობია გადახედოთ სანახაობას. ხედავთ ეგერ ციხე-ბურჯს?

ადიკო. როგორ არა ვხედავ... ბავშობიდან ვარ შეჩვეული მაგის დანახვას. მაგრამ ახლოს კი უფრო კარგია. გუშინ საღამოსაც რა მშვენიერი იყო იქ ყოფნა... მაგრამ თქვენ კი ძალიან გამაჯავრეთ... (გინაგრძობენ დაბდა ფაფარაკს)

კოწ. (აქამდე ბაბუნას ჩუმად ელაპარაკებოდა. ხმა-მაღლა) აბა, კაცო, კინაღამ ჯორმა ფეხი არ მოიმტვრია...

პაპ. ეგ რომელი ბოგირია, ბატონო, ჩავარდნილი?

კოწ. აი, კაცო, ჩემი ჭიშკრის ზევით რომ არის.. სულ დამპალაფიცრები, აღარაფრათ აღარ ვარგა.

პაპ. რას ბრძანებ?

კოწ. ჩაქცეულა სულ. დღეს რომ გამევიარე გულს შემომეყარა...

პაპ. უბედურებაა, ბატონო, სწორეთ. აღარ გზა გვივარგა, აღარც მისავალი. სასწავლებელი ჩვენ არ გვაქ და ეკლესია.. სანერგე ბაღი გვქონდა და სულ გაპარტახტა...

კოწ. მართლა, კაცო, რას შვრება ეს შენი ძმისწული, ჩვენი მამასახლისი... აი ნასწავლი კაცია, აი ასეო და რომ კინაღამ თავი გადეიკალით მაგის არჩევაზე...

პაპ. მაგას ვწუხვარ მეც. კი წვალობს რაცხას, მაგრამ ჯერ არაფერი გოუვიდა საწყალს ..

კოწ. კაცო, მამასახლისმა მარტო რა უნდა ქნას, მაგრამ რამდენჯერ გაუგზავნეთ დეპუტაცია ჩვენი მაზრის უფროსს...

პაპ. უი, დასწყევლის ღმერთი, კაი კაცი ის არ იყო... ვის გოუგონია რამე... ამას ამბობენ, ახლა რომ დანიშნეს, ძაან კაცია თურმე...

კოწ. ჰოო, აქებენ, მაგრამ არც მე მინახავს.

პაპ. რა გვარია, ბატონო? კი მითხრა ჩემმა ძმის წულმა, ვერ დავიხსომე: ვინცხა ლემენცია ვგონებ.

კოწ. ჰო, რაცხა გრინგოლიაო, არც მე ვიცი კარგათ...

პაპ. ჰო და შეიძლება მაგას მაინც შევასმინოთ რამე,.. ბატონო ე გენერალი რომ გვყავს ჩენს სოფელში, ის ბერდოსანი, იმას ბევრი რამე შეუძლია, მაგრამ ჩვენი სოფლის საქმეებში რომ არ ერევა?

კოწ. იმას იცოცხლე, შოუძლია, მაგრამ თვითონ დავრდომილია, იქით ვერ წავა და აქით, ხომ იცი, მთავრობა კარზე არ მოადგება..

პაპ. რა ვიცი, რა ვიცი... ცუდათაა ძალიან ჩვენი სოფლის საქმე და კაცი არ გვყავს, ბატონო, მშველელი კაცი... იმდენი ნასწავლი ახალგაზდობა ჩვენ რომ გვყავს, ერთ სოფელს არ გაჩნია, მაგრამ რა?.. „ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო...

კოწ. და შეეძმანდი ძაღლსაო!“ მართალია.., მაგრამ აგერ მეიცა, ჩემო პაპუნა, ჩემი მადნის საქმე თუ ისე გაკეთდა, რავარც მე მინდა, გზასაც მე გამევიყვან, იმ სანერგე ბაღსაც ვუპატრონებ, ეკლესიასაც აგიშენებთ, სასწავლებელსაც და... ყველაფერი.

პაპ. იი, კაი დაგემართოს... რა? გული კი არ გაკლია, მაგრამ მანამდი თუ ჩვენ თავს არ მოუარეთ, შენი მტერი...

კოწ. სად არის ახლა მამასახლისი?

პაპ. ვეზდის ქალაქში წევიდა აგერ მესამე დღეა... და არ ვიცი რა შეემთხვა?.. სოფელმა დაავალა იმ სასწავლებლის ამბავი გეეგო... კიდე რაცხა საქმეები ქონდა...

კოწ. დალოცვილო, სამი დღე თუა, რაც წევიდა, ჯერ რაფერ დაბრუნდებოდა... ვეზდის ქალაქი ხომ იცი რამ სიშორეს გვაქ. ცხენით ერთი დღე უნდა იქ ჩასვლამდი... და ჯერ არ უგვიანდება. (განაგრძობენ დაბდა დაბარაკს)

ადიკო. (ფაციას) მაშ გამოტეხილი მითხარით, რა გინდათ?

ფაცია. ჰა, ჰა!.. რა უნდა უნდოდეს ახალგაზდა ქალს?.. გათხოვება.

ადიკო. ეგ მომწონს. თამამი ნათქვამია. სხვა თქვენს ალაგას მაგასაც არ იტყოდა. ეტყობა ცოტა ნაბიჯი გადაგიდგამთ წინ. მაგრამ მაინც გათხოვება გინდათ...

ფაცია. დიაღ, კანონიერი ჯვარის წერა. ვიცი მე გმირი არა ვარ და რაც დაწესებულია იმას არ შევცვლი, ვერც შევცვლი... ტანჯვა-ჯახირი ცხოვრებაში, მომავალშიაც?.. არა, მეყოფა.

ადიკო. და გახდებით თქვენც ჩვეულებრივი ოჯახის ბურჯი: შვილები, სამზარეულო, სარეცხი,.. ღმერთო, ამ ქვეყნად რა მოწყენილობაა!

ფაცია. რას იზამთ? ბედმა ეს გვარგუნა... გინდათ უხუმრად გელაპარაკოთ?.. აბა ცოტა ხანს მაინც გამოიჩინეთ სიდარბაისლე.

ადიკო. (ამთქნარებს) სთქვით.

ფაცია. ხომ იცით ბავშობაში სიღარიბის გამო მამამ მხოლოდ ეპარქიალურ სასწავლებელში მიმცა...

ადიკო. მმ... დიაღ.

ფაცია. იქ საშინელი ხატვის ნიჭი აღმომაჩნდა... მერე რა? საიდან შეიძლებოდა ამ ჩემ ნიჭს გავყოლოდი?.. ჯერ თვით სასწავლებელშიაც უფრო დაცინებით ეკიდებოდნენ

ჩემს გატაცებას და სხვა აბა ვინ გამამხნევებდა?!. ჩავახშე ეს მოფეთქებაც... შემდეგ ქართულმა წარმოდგენებმა გამიტაცა... არც ერთ წარმოდგენას არ ვაკლდებოდი... გულში გადავწყვიტე—თეატრისათვის თავი შემეწირა...

ადიკო. (გამოტეხდა) მე თეატრს პატივს **არა** ვცემ, მაგრამ თქვენ მართლა შეიძლებოდა მსახიობი ქალი გამოსულიყავით... ოო, ეს კი სულ სხვა იქნებოდა...

ფაცია. რასაკვირველია არც ეს მოხდა... მამას ვერ დავემდურები... საცოდავი, რაც შეეძლო ყველა ჩემს სურვილებს მისრულებდა, მაგრამ, დედა ჩემი... ოო, ძალიან შორს დაიჭირა. ჯერ ხეირიანად არც კი ესმის თეატრი რა არის, მაგრამ მაინც, სადღაც ყური მოუკრავს, გარყვნილების ბუდე ჰგონია... მერე კიდევ კნიაზნა... არა, შვილო, ღარიბები ვართ, ღატაკები, მაგრამ ქვეყნის სამასხაროთ კი არ გაგხდიო... მერე ეს ამბავი ჩვენმა შორეულმა ნათესავმა კნ. ჩიტუნიამ გაიგო...

ადიკო. ოო, იმ ბობოლამ...

ფაცია. და იმან ხომ კინაღამ ჯვარზე მაცვა... და აი ასე დასრულდა ჩემი მოქალაქობრივი მოფეთქება... სხვა? სხვა კი... ჯერ სხვაგან რა ასპარეზი აქვს ქალებს, რომ საქართველოში ჰქონდესთ და მეც... ბედს შევურიგდი... ჰა, ჰა... ეხლა გათხოვება მინდა... მხოლოდ თქვენ კი არა ხართ ჩემი რომანის გმირი.

ადიკო. იცით? თანდათან მომწონხართ... შედარებით მაინც თამამი ხართ, გაბედული...

ფაცია. არა, თუ ღმერთი გწამთ?

ადიკო. აქ სოფელში როგორ გეძახიან? ა, ახტაჯანა!..

ფაცია. (შეხედავს, სათნოდ გაუღიმებს) დიაღ...

„ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია,
რომ სიცილი, ზოგჯერ, ცრემლზე მწარეა!“

ადიკო. მართლა... თუ სცენამ ესე გაგიტაცათ მაშ უთუოდ რაიმე როლი მაინც გეცოდინებათ ზეპირათ... ან ლექსები?..

ფაცია. ლექსები? ო, მე ძალიან მომწონს ახალგაზდა პოეტები. თუ სადმე ხელში ჩავიგდე ჩვენი გაზეთები ხან აქაურ სამკითხველოში, ხან კნ. ჩიტუნიასთან, პირველად მაშინვე ლექსებს ვეცემი ხოლმე.

ადიკო. მე კი უახლოეს პოეტების გარდა, აი ეხლა რომ ჩვენში ფუტურისტებათ მოუნათლავთ, ვერავის ვერ ვიცნობ. ეგენი კი, ზოგი ჩემი მეგობარია...

ფაცია. მართალია? მაშ მოდი ამიხსენით, რა არის ეგ ფუტურიზმი?..

ადიკო. არა, მაგის ახსნას დავეთხოვოთ და გინდათ ერთ მათგანის ლექსს წაგიკითხავთ...

ფაცია. ოო, ეგ არა სჯობია თქვენს ცუღლუტობას...

ადიკო. კნიაზნა ფაცია!.. მაგრამ კარგი ალარ გაგიწყრებით. აი ის ლექსიც:

„მე ხშირად მიყვარს
ეს ქალაქი მრუში და მურალი,
ატალახებულ ქუჩებს მივყვები,
ვუცქერ უკბილოთ დადრეკილ სახლებს
ხარბათ დაგეძებ მახინჯ სახეებს.
მკლავებში მახრჩობს მე ვიწრო კვალი,
ავზნიანი და ცოდვებით მთვრალი.

(ამ ლექსის კითხვის დროს კოწია და ბაბუნა დაბარბაცს შეწუვეტენ და გაკვირვებით შესტქერიან ადიკოს. მხრებს იწევენ, არაფერი გაეგებათ).

ავადმყოფ სახლებს
ათაშანგით პირ დაკბმულ ქუჩებს
აკმეევებს სურნელს
სამკიტნო დვინით და ხაშით
გიყდება დამე
არდნის რწყევით ზურნით და ტაშით.

ფაცია. (სიცილს იწყებს) ჰა, ჰა, ჰა!

ადიკო. (ლექსს განაგრძობს).

და ცა ლოტბარი
შავად მოართული, ქურდებს და მკვლელებს
გამოსვლას ურჩევს...*) (შედგება)

ფაცია. (განაგრძობს სიცილს) ჰა, ჰა!.. არა, ეს მართლა სულ სხვა რამ არის...

კოწია. რაო, რაო? . ათაშანგით პირდაკბმულ ქუჩებსო?.. ვეი, ვეი! საოცარია სწორედ... რას არ გამეიგონებს ეს რუს-ხემწიფე...

ე

აგრაფენა და „ფოფოდია“

„ფოფოდია“ (ფაშფაშა ქალი. დადდიდია, ქშენვით შემოდის) უჰ, მოვკვდი, შენ მომიკვ-

*) ლექსი ეკუთვნის ნიკ. ნადირაძეს.

დე, კიბეზე ამოსვლით, გული ამომაგდა...

აგრაფინა. (ნაზი ნაკვთიერების ქალიშვილი. სათნო დიმილით) მართლა, მაღალია ჩვენი კიბე..

ადიკო. (მიეგებება) ოო, ჩვენს ფოფოდიას...

„**ფოფ.**“ (ეშმაკურის დიმილით) უი, გაგისკდა მიწა... ფოფოდია კი არა ახლა ის დამიძახე, შე სარსარაკო, შენ.. (საერთო მისალმება და ხელის ჩამორთმევა)

კოწია. („ფოფოდიას“) ნიფადორას ვახლავართ, ნიფადორას... რავა ხარ, ბეჩა.. ცოტა გავა ტანზე შესქელებულხარ...

„**ფოფ.**“ უი, გაგისკდა მიწა რა ენამყრალი შენ ხარ, შე უბედურო...

პაპ. მამა ევტროპი სად დატოვე, ბატონო?

„**ფოფ.**“ უიმე, დავტოვე კი არა... იმისმა ნაღველმა არ მომკლა, ბეჩა პაპუნა!..

ყველანი (კარდა აგრაფენასი) როგორ, რავა?

„**ფოფ.**“ როგორ და აგერ ერთი კვირეა დავკარგე მღვდელი... ამ ეკლესიის საქმეზეა ეფისკოპოსთან წასული..

კოწია. იმიტომაც შესუქებულხარ. ბეჩა ნიფადორა, დაუსვენებიხარ ცოტა.

„**ფოფ.**“ უი, გაგისკდა მიწა!.. ის კი არა, ბეჩა, უეზდნი ნაჩალნიკი მოდის თურმე.

კოწია
პაპ. } (ერთად) როგორ თუ მოდის?

„**ფოფ.**“ აბა, ეგ არ არი?

აგრაფ. ჰო, წუხელის ჩვენ მეზობელ სოფელში, კნ. ჩიტუნიასთან ჩამოსულა..

პაპ. მერე, შენი ჭირიმე, მერე?

აგრაფ. მერე და ახლა სოფელში გვითხრეს, რომ მგონია ჩვენ სოფელშიაც შემოივლისო.

კოწია. იმე! რაღა თქმა უნდა... ჩვენი გენერალი რომ არ ნახოს, ის მაინც რავა იქნება...

ადიკო. ეჰეე... ახლა აირია მონასტერი... Событіе!..

აგრაფ. ჩვენი სოფლისთვის событіе იქნება, აბა რა... ამდენი ხანია ამას მეელოდენ ღღდგომასავით.

ადიკო. Я никакого участія не приму въ этихъ торжествахъ...

პაპ. კაი შენი ჭირიმე... როგორ გავჩერდით?.. სად არი ახლა ი, ჩემი ძმისწული მალხაზი... (გასძახის) კეკელა-ქალო, ჩემო რძალო. (გადის)

აგრაფ. (ადიკოს) როგორ не примешь участія... თუ აქ ჩამოვიდა მართლა... შენისთანებმა უფრო არ უნდა აუხსნან სოფლის გაჭირვება?..

ადიკო. ეეჰ, აბა ახლა დეპუტატათ დავდგები სწორეთ... Гражданскіе мотивы, братъ, ეს სხვებისთვის დამილოცნია... მე სჯობია ისევ ჩვენ ფოფოდიას გაუარშიყდები.

„**ფოფ.**“ უი, გაგისკდა მიწა... გამიარშიყდები კი არა...

კოწია. (ადიკოს) შენ, ჩემო ბიძია, რავარი მიეთ-მოეთი ყოფილხარ... ნწ, არა, ძმაო, არა...

ადიკო. კნიაჟნაზე ბრძანებ?.. კნიაჟნა ეს შამპანიურია... ცინცხალი, შუშხი... ფოფოდია კი ბულკია, სდობნი...

„**ფოფ.**“ უი, გაგისკდა მიწა...

ფაცია. (ხელს ჩაიქნევს და აგრაფინასკენ გადადის) რაც უნდა ის ილაპარაკოს!

კოწია. (ჯიბეში იდაგებს მაგიდიდან მადნეულს) მართლა, თუ ჩამოვიდა უეზდი ნაჩალიკი რას ვიქეიფებთ?..

„**ფოფ.**“ (თვალს შეაგლებს მადნეულს) ეგ რა არი, კნიაზო კოწია?..

ადიკო (ქადებთან მიდის).

კოწია. ჩემი მადანია, ჩემი, ნიფადორა... აა, დახედე... (უჩვენებს მადნეულს და თან დაბდა რადასაც ეუბნება).

აგრაფ. ახლა თუ მართლა მოვიდა მაზრის უფროსი, ჯერ ამაზე შეექნებათ ლაპარაკი, თუ სადილი სად და ვინ გაუმართოს, მერე, მაინც საწყალი მამაჩემი გამოიჭეჭყება შუაში...

ფაცია. ვინ იცის, აგრაფინა, შეიძლება არც კი მოვიდეს ჩვენს სოფელში. არ იცი? ჩვენი სოფელი ღვთისკანაც დავიწყებულია და კაცისგანაც... რამდენჯერ ჩამოსულა კნ. ჩიტუნიასთან მაგისთანა სტუმრები, მაგრამ ჩვენს სოფელში გზათაც კი არ გაუარიათ...

ადიკო. (ბიჭნის ხარიხას გადაეკრდნობა.)

აგრაფ. არ ვიცი, არ ვიცი... მე ის მაწუხებს, ახლა კაცი არ გამონჩდება, რომ ჩვე-

ნი სოფლის გაპირვება ყველაფერი კარგათ აუხსნა...

ფაცია. მამა შენი აქ არ არის?

აგრაფ. ერთი რომ მართალია აქ არ არის და მეორე რომ იყოს კიდეც, მამასახლისი კაცია, მათი ხელ-ქვეითი, რა შეუძლია გაუბედოს... (ამასობაში კოწიამ რადაც სახუმარო უთხრა „ფოფოდის“

„ფოფ.“ უი, გაგისკდა მიწა...

შალვა დადიანი

(გაგრძელება იქნება)

სახალხო თეატრის ისტორია

(მასალები)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 16)

სექციამ წარმოდგენების მართვა ისევ ავჭალის აუდიტორიაში დაიწყო, უნივერსიტეტის სახელით. სცენის მოუყვარეთაც თანდა-თან მოემატნენ ქ-ნი ანდრონიკაშვილი, თამარა გოგოლაშვილი, თამარა ბაქრაძე, ნინო ბაქრაძე, მართა ხაგუნავა, სიგინაშვილი, ბარათაშვილი. ცოტა ამირაჯიბი, ასათიანი, შალამბერიძე, ნადა ქუმსიაშვილი, ნინო ბაბიკოვი, და ბოდოს ანკარა; კაცთაგან: გიორგი დეხურელი, ალექ. ნეიმანი, არშაკუნი, სერგო ბეპანოვი, ალექ. ბადრიძე, ისაკა ძნელაშვილი, შალიკო ხონელი, დუკა ლეკვა. ხალხი ჩვეულებრივ ბევრი ესწრებოდა.

1908 წელს სექციამ თავის წევრათ მიიწვია ქ-ნი ლუცია ქუთათელაძე, დიმ. დუმბაძე, თედო დიდიძე, კოტე შათირაშვილი (რეჟისორათაც). ბოდოს ელისო ბარბაქაძე, ვასო დაშქარაშვილი, ალექ. ბადრიძე და დათიკო ლონდარიძე.

როდესაც ზუბალაშვილების სახალხო სახლი დამთავრდა 1909 წ. 4 აპრილს გაიმართა ბირველი წარმოდგენა. წარმოადგინეს „რევიზორი“ „სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ თეატრალურ სექციის“ სახელით.

ასე გათავდა ავჭალის აუდიტორიის წარმოდგენები. ზუბალაშვილების სახალხო სახლში გადმოსვლით სექციის წევრებმა და სცენის მოუყვარეებმა თავისუფლად ამოისუნთქეს

ამოდენა ხნის ნაწვალ-ნადაგებს ძლივს ელიბრსათ ელექტრონით განათებულ სახლში გადმოსვლა. გათავდა სირბილი და ტალახში სიარული; ეხლა სიამოვნებით შესცქერიან თავიანთივე დაწყებულ საქმეს, და ნეტარებით იგონებენ წარსულს, ამგვარ ნაოფოვის გამოდებისათვის.

გაიმართა შემდეგი წარმოდგენები: „სიძე სიმამრი“ „ბირველი და უკანასკნელი კოცნა“; „ქოხრიანი ტორტლა“, „მეზობლები“, „უაზადები“ შიდლერისა და სხ.

წარმოდგენები მიდის მწუობრათ, ხალხიც აუარებელი ესწრება და ნასიამოვნები ბრუნდება. ერთი სიტყვით სექციის საქმე სანეტარო მდგომარეობაშია.

გაიარა დრომ და სექციამ ერთ თავის კრებაზე გადასწყვიტა რეორგანიზაციის მოხდენა და ამისთვის კომისიაც ამოიჩიეს. კომისიამ შესრულა თავისი დავალება, მაგრამ სახალხო უნივერსიტეტმა რამდენიმე ბირის ზედ გავლენით ახალი წევრების სია არ დაამტკიცა და მოინდომა საქმეს უფრო ახლო გაცნობოდა. ამ ხანებშივე, სამსონ ტორტოშოლიძემ მიიღო დამტკიცებული ნებართვა ახალი წრის დარსების შესახებ. სექციამ ადარ დაუცადა სახალხო უნივერსიტეტს და ოქტომბრის 12 კრებაზედ რამდენიმე ხმის წინააღმდეგ დაადგინა გადაეცეს წრეს მთელი თავისი საკუთრება უკეთუ წრე დაიწყებს მოქმედებას. ამ გადაწყვეტილებას წინააღმდეგ უნივერსიტეტის გამგეობა სექციის წევრთ მიემხრო. გაჩაღდა გაზეთებში პოლემიკა და წარმოდგენებიც შეჩერდა. უნივერსიტეტის გამგეობამ სთხოვა საზოგადო კრებაშდის მოეცადნათ და წრეს მოქმედება ჯერ არ დაეწყო. მაგრამ წრემ ეურიც არ ათხოვა და საქმეს შეუდგა.

ამზადებს წრე ბიესას და უშვებს დადატის „ანონსს“ ამავე დროს უნივერსტეტის ძველი სექციაც ამზადებს ბიესას და უშვებს „ტიმბირელის“ ათეშებს. ისე რომ ერთსა და იმავე დღისთვის 2 ათეშა გამოვიდა. საქმე უფრო გამწვავდა. გაზეთები უმტკიცებენ წრის სულის ჩამდგმელებს, რომ მისი არსებობა ინტრიგანობაზე არის აშენებული, მაგრამ ეურიც არ ათხოვეს; ვის ეკუთვნის ზუბალაშვილების სახალხო სახლი?!.. ეს საკითხი კითხვად გადაიქცა და გადასაწყვეტად გადაეცა დრამატიულ გამგეობას, რომელსაც ბრთენ გოთუა თავმჯდომარეობდა.

გიორგი ჯაბაური

დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმად გამოშვებულია

თავისუფლების სესხი

1917 წლისა

ამ სესხის ობლიგაციების ღირებულებაა 50, 100, 500, 1000, 5000, 10,000 და 25,000 მან. წლიურად შემოაქვთ 5 პროც., რაიც წელიწადში ორჯელ იძლევა, ერთი 16 მარტს, მეორე 16 ენკენისთვეს.

სესხი გამოშვებული იქნება 5 წ. მისი ობლიგაციების გამოცემა მოხდება ყოველ წელს, 1922 წლიდან დაწყებული.

სესხზე ხელის მოწერა დაიწყება 6 აპრ.-დან და გასტანს 31 მაისამდე 1917 წ.

სახელმწიფო ბანკების კანტორებსა და განყოფილებებში,
მუდმივ და საველე ხაზინებში,
სახელმწიფო შემნახველ კასებში,
წვრილი კრედიტის დაწესებულებებში,
კერძო კომერციულ ბანკებში,
ქალაქის საზოგადო ბანკებში და წვრილ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში და იმ საერობო სამმართველოებში, რომელთა შესახებ ცალკე იქნება განცხადება.

ხელმოსაწერი ფასებია

85 მან. 100 მან,

რომელთაც დაერთობათ ამ წლის მარტ. 16 პროცენტები.

ობლიგაციის ღირებულობა—ფასი, ერთ დროულად უნდა აქმნეს გადახდილი. იმ კვიტანციების (სანამ ნასყიდი ობლიგაციები ჩაჰბარდება მყიდველს) და აგრეთვე ობლიგაციის საშუალებით შეიძლება სესხის აღება. ამ შემთხვევაში, კვიტანციები ან ობლიგაციები უნდა წარედგინოს იმ სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, სადაც ასეთი ოპერაციები—(სესხი) სწარმოებს, და მიეცემა ობლიგაციის ღირებულობის 75%, წლიური $5\frac{3}{4}$% შეღავათიანი პროცენტით, რომელიც, ესე იგი, სესხის აღება, განთავისუფლებულ იქმნება ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებისაგან, რაიც საზოგადოთ შემოღებულია მიმდინარე ანგარიშით და თამასუქით—ვადიან სესხისა.

ადებულ სესხის განაღდება შეიძლება აგრეთვე 5% სავალდებულო სახელმწიფო ქალალდების წარდგენით წლიურ 5% გამოკლებით.

შეძენილი ობლიგაციები მიიღება შესანახად სახელმწიფო ბაკში და ხაზინაში, უფასოდ: სამაგიერო დოკუმენტი, რომელიც მიეცემა ობლიგაციის პატრონნ საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულია. (8—651—4)

წვრილი ამბები

ქართველ მსახიობთა ყრილობაი მოწვევას აპრილის 30 ფიქრობენ თბილისში. საგანი: ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის დაარსება.

გ. სკანდარუაშვი—სახალხო მოლექსე, შემდგენი „სახალხო ს-ზანდარისა“ და სხვა წიგნების, გადაიცვალა.

„ხალხის თავისუფლება“—საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (ავტონომისტთა) გაზეთის მე-5-ე ნომერი გამოვიდა. ამ ნომერში მოთავეებულია მეთაური „ავტონომიური საქართველო“ ივ. გომართლის—„ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა“, წერ. 2, მუშა მ. დევაძის—„საუბარი სოფლელ მუშასთან“, იოსებ იმედაშვილის—„ძმური სიტყვა“, ი. სირაძის—„საქართველოს“ და სხ. ამავე გაზეთის მე-6-ე ნომერი გამოვა დღეს. ამ ნომერში ივ. გომართლის ორი წერილი,—“პასუხი ორ ამხანაგსა“ და „ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა“, წერილი 3 და სხ.

ისტ. თ. ეოკრდანიას გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავი შესრულდა აპრილის 22 დღეს, აპრილის 23, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა-პანაშვიდი.

კომ. კ. ფოცხვერაშვილმა დასწერა სარევოლიუციო საგალობელი.

ვალ. გუნიას სადღესასწაულო დილა-საღამო გაიმართება სახემწიფო თეატრში აპრილის 29, შაბათს.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ავლაბრის თეატრი პალასი

ორშაბათს 24 აპრილს, 1917 წ.

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ქ. რჩეულიშვილისა და **ანკარას** მონაწილეობით ვალერიან გუნიას ცნობილი ისტორიული დრამა

და-ძმა ანუ

სამშობლოს მოდალატე

დრამა 5 მქო. და 6 სურათი

ანტრაკტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა

რეჟისორი; ს. შრამზინოვი ადგილების ფასი ჩვეულებრივია, გამგე, ს. გეურქოვი

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე **ანონსი.** შემდეგისთვინ მზადდება **ყაჩაღი არსენა**

„თეატრი და ცხოვრება“

ორი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ № 1, ფოსტით: **Тифлис, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили.**

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (ავტონომისტთა) გაზეთი

„ხალხის თავისუფლება“

„(ხალხის ერთობის გაგრძელება)“

ივანე გომართლის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, პარტიულ მუშაკთა თანამშრომლობით და **იოსებ იმედაშვილის** რედაქტორობით.

გაზეთი ჯერ ხნობით გამოვა კვირაში ორჯერ: **ორშაბათობით** და **ხუთშაბათობით** გაზეთის მთავარი მიზანია ავტონომისტების გაერთიანება, ერთობის განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-5 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1) ფოსტით: Тифлисъ ред. „Халхис Тависуфлэба“—Іос. Имедашвили (мадато. ост. № 1).

რედაქტორ გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

ახალი კლუბი 1 კვირის პრო. აპრილის 23-30

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

ოთხშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ.—საოჯახო საღამო

კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ საშუალ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ

ქუთაისში
ქარხანაში
ფოთლიანი ჩაი
ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.